საკრებულოს წევრის საქმიანობის
წლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: თამაზ სალუქვაძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის წევრობა: ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"

კომისიის (კომისიების) წევრობა: ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის წევრი
საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის წევრი

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): მაჟორიტარი, ბათუმის 79-ე ოლქი

საანგარიშგებო პერიოდი: 2019 წლის წლიური ანგარიში

განხორციელებული საქმიანობები:

1. **საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი**

   13 საკრებულოს სხდომა

2. **საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა**

   119 სამართლებრივი აქტი

3. **საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა**

   მხარი დაუჭირე ყველა საკითხს

4. **საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა:**

   საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიაში ჩატარდა 11 სხდომა, ხოლო ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიაში 9 სხდომა.

5. **კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა**

   55 სამართლებრივი აქტი

6. **საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა**

   სამშენებლო კომპანია შპს „სვეტი ჯგუფის" მიერ დაზარალებულთა პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიების შესახებ მომართვის პროექტი

7. **ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები**

   საკრებულოს სხდომებზე მოსახლეობის პრობლემების გამოკვეთა ქალაქ ბათუმის მერიისთვის რეაგირების მისაღებად.

8. **მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა**

- ყოველი კვირის ორშაბათობით შეხვედრები იმართება მოსახლეობასთან - ქალაქ ბათუმში, თამარის დასახლების ადმინისტრაციულ ერთეულში, სამშაბათობით - მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში და ხუთშაბათობით ჩაქვის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობასთან კერძოდ, სამაჟორიტარო ზონაში.მოსახლეობასთან გავაკეთე პრეზენტაცია - წლიური ანგარიშის გაცნობა.

9. **ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა**

ყოველკვირეულ შეხვედრებზე საშუალოდ 15-დან 20 მოქალაქემდე

10. **მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები**

- სოციალური, ინფრასტრუქტურული, ჯანმრთელობის, გზის კეთილმოწყობა, საბავშვო ატრაქციონებისა და ტრენაჟორების რეაბილიტაცია და მათი მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება, დასაქმების საკითხები. შეხვედრების დროს მოქალაქეების მიერ წამოიჭრა პრობლემები, კერძოდ, მცირე ტიპის ინფრასტრუქტურული და ქონების განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები, სანიაღვრე არხები და მათი მოწესრიგება, გზის სავალ ნაწილზე ასფალტის ან ბეტონის საფარის დაგება, ცხაურების მოწესრიგება, იჯარის გადასახადის საკითხის მოგვარება მწვანე კონცხის პლაჟზე და სხვა.

11. **სხვა განხორციელებული საქმიანობები**

- მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე კონტროლის და ზედამხედველობის გაწევა, სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრება

შედეგი, ეფექტი:

წლის განმავლობაში გაკეთებულია შემდეგი: ბარცხანის სრული რეაბილიტაცია (ასფალტი, ტროტუარი, სანიაღვრე-კანალიზაციის დაერთება); გამწვანება ქათამაძისა და ნონეშვილის ქუჩებზე, მე-8 სახლის მიმდებარედ ატრაქციონის სკვერი, №58-60 კორპუსის შეფუთვა, ფაღავას ქუჩის მოასფალტირება და სანიაღვრე სისტემის მოწყობა, ნობელების ქუჩის რეაბილიტაცია და №27 ახალი სამარშრუტო ხაზის დანიშვნა, რომელიც აკავშირებს 7 საავადმყოფოს, თამარის დასახლებაში 331 კვარტალში ახალი საკანალიზაციო ქსელი, შერემონტდა საფეხბურთო მოედნები, თუმცა ნობელებზე და ნონეშვილზე მომავალ წელს დასრულდება, აშენდა და ფუქციონირებს ახალი №34 საბავშვო ბაღი 250 ბავშვზე, დასრულდა თამარის დასახლებაში გამგეობის ახალი შენობა, №18 ბათუმის საჯარო სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, სამედიცინო დახმარება, დაფინანსება გაეწია 2000-მდე მოქალაქეს, მატერიალური დახმარება გაეწია 55-მდე ოჯახს, საოჯახო ტექნიკით და საოჯახო მასალით დახმარება გაეწია 50-მდე ოჯახს (სოც. დაუცველი და შშმ. პირს), სისტემატურად ხორციელდება კორპუსების მავნე მწერებისა და მღრნელების შესაწამლი სამუშაოები, თამარის დასახლებაში გადაიხურა სახლი №4-ის 3%-იანი თანადაფინანსებით, იცელება და იწამლება

მცენარეები და ბალახები, მახინჯაურში, გოგოლიშვილის შესახვევში მოეწყო სანიაღვრე არხი, ხიდბოგირი, თამარის 62-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხი, თბილისის ქ. №4-ის შესახვევში გარეგანათება სრულად, იბერიის ქუჩის განათება სრულად, მიმდინარეობს ახალგაზრდობის ქუჩის ასფალტირება ტროტუარით, თამარ მეფის გამზირი (ცენტრ-იდან ხოზდვორამდე ტროტუარი), მომავალი გეგმები 2020 წლის ბიუჯეტში აისახება მოსახლეობისაგან გამომდინარე პრობლემები და წინადადებების გათვალისწინებით.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

1. მე-13 სახლის საკანალიზაციო რეაბილიტაცია;
2. მე-6 სახლზე ვიტრაჟების მოწესრიგება;
3. მე-5,6,7 სახლებისთვის განათება;
4. 30-ე სახლის ჟალუზების გაკეთება;
5. მახინჯაურის სტადიონის რეაბილიტაცია;

მოსახლეობასთან შეხვედრებიდან გამომდინარე, მათგან წამოჭრილი რიგი პრობლემების მოგვარება გათვალისწინებული იქნება 2020 წლის ბიუჯეტში.